

სამონადირეო ტრადიციების ასახვა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში

საქართველოში მონადირეობის ინსტიტუტს უძველესი ტრადიციები გააჩნია. ამასთან, ისტორიული ცნობებით, იგი განსაკუთრებით საქართველოს მთიან ზოლში ყოფილა განვითარებული და ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კლდოვანი რელიეფისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო, მთაში თავის რჩენის ერთ-ერთი მთავარი წყარო გარეული ნადირის ხორცი და გარეული მცენარეულობა იქნებოდა, განსხვავებით ბარისაგან, სადაც შედარებით რბილი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის წყალობით, მინათმოქმედება უფრო აქტიურად განვითარდა.

ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი კუთხე – სვანეთი, სადაც მონადირეობა უახლოეს წარსულშიც კი მეურნეობის ქმედითი დარგი იყო, რაც თავისთავად მეტყველებს მისი ტრადიციების სიცოცხლისუნარიანობასა და სიმტკიცეზე ამ კუთხეში; შესაბამისად, სვანური ფოლკლორი მდიდარია სამონადირეო ეპოსის მხატვრული ნიმუშებით ლექსების, თქმულებების, სიმღერების, ზღაპრების, ანდაზების, გამოცანების, ლოცვებისა თუ სხვა სახით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სამონადირეო ეპოსის იმ შტოს წარმოჩენა, რომელმაც თავი სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში იჩინა. მხედველობაში გვაქვს სიმღერები, რომლებიც აქ უმთავრესად სამონადირეო სიმღერა-ფერხულების სახით არიან წარმოდგენილნი და რომლებიც ქართულ მუსიკისმცოდნეობაში, ჩვენი აზრით, სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამ ეტაპზე გამოკვლევის მიზანია, სვანური სამონადირეო ტრადიციების მიმოხილვა და მათთან დაკავშირებული სიმღერა-ფერხულების ზოგად კანონზომიერებებზე დაკვირვების საფუძველზე სვანური სამონადირეო ფოლკლორის არქაულობის წარმოჩენა. ეს ნარკვევი მომავალი ვრცელი გამოკვლევის საწყის ეტაპს წარმოადგენს, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში ვიფარგლებით პრობლემემატიკის მინიშნებითა და საკითხების დასმით.

ნადირობას მთელ საქართველოში და, განსაკუთრებით სვანეთში, ოდითგანვე „წმინდა“ საქმედ მიიჩნევდნენ. „წმინდად“ ითვლებოდა ასევე სანადირო ადგილები და ზოგიერთი ნადირიც“ (ვირსალაძე, 1964:26). ამიტომ ნადირობის წინა დღეებში მონადირეს თავი „წმინდად“ უნდა შეენახა: მას ეკრძალებოდა ბილწისიტყვაობა, ქალთან სიახლოვე, არ შეეძლო საგზლად ხორცის ან ქონის წაღება, სამაგიეროდ აუცილებლად მიჰქონდა დედის ან ცოლის გამომცხვარი რიტუალური პური, რომლის ზედაპირზე მზის სხივები იყო გამოსახული. პირველ კლდესთან მისული სვანი მონადირე სანთელს აანთებდა, ილოცებდა – „ღმერთო, მშვიდობიანად დამაბრუნე სახლში, მარჯვენა დამილოცე, დალი“ და პურს შეჭამდა. დალი, ქართველთა წარმართული პანთეონის ერთ-ერთი წარმომადგენელი, სვანების წარმოდგენით, ნადირთ პატრონი ულამაზესი ქალი იყო, რომელსაც ნადირობის წინ მონადირე იღბალს შესთხოვდა, ნადირობის შემდეგ კი წყალობისათვის მადლობის ნიშნად მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს სწირავდა. ზოგიერთი წარმოდგენით, ნადირთ პატრონს სხვადასხვა ცხოველად ქცევის უნარი შესწევდა, რომელიც გარკვეული ნიშნით იყო გამორჩეული (ტყავის შეფერილობით, რქების ზომით და ა.შ.). თუ მონადირე შემთხვევით ასეთ ნადირს მოკლავდა, დაღუპვა არ ასცდებოდა. ასევე სვანური თქმულებების მი-

ხედვით, დალი მეტად მაცდური არსება იყო, რომელიც მომხიბლავ მონადირეს სიყვარულის გაზიარებას აიძულებდა, შემდეგ კი თავისი მოთხოვნების შესრულებას ავალდებულებდა, რაც გამოიხატებოდა მათი ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვასა და სიცოცხლის ბოლომდე ნადირთ პატრონის ერთგულებაში. ამის საფასურად მონადირე ნადირობაში საუკეთესო ილბალს მიიღებდა, პირობის დარღვევის შემთხვევაში კი იგი განწირული იყო. სწორედ ამგვარი თქმულებების საფუძველზეა შექმნილი სვანური საფერხულო სიმღერები: „ბაილ ბეთქილ“, „ბეთქან კუცა“, „ბეთქანი“, რომელიც განთქმული სვანი მონადირის – ბეთქილისა და ნადირთ პატრონის – დალის სასიყვარულო ისტორიასა და ბეთქილის ღალატის გამო მისი ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს გადმოგვცემს.

ერთი სვანი მოხუცი მონადირის თქმით, „ბედნიერი მონადირე ათასზე მეტ ნადირს მოკლავს თავის სიცოცხლეში, თუ მას წმინდად უჭირავს თავი და ნადირთ პატრონს არ აწყენინაო“ (ნიჟარაძე, 1886:238). ასეთი მონადირე საზოგადოების პატივს იმსახურებდა და ხალხი მას გმირად აღიარებდა. ერთ-ერთი ასეთი სახელგანთქმული მონადირისადამია მიძღვნილი სვანური ფერხული „ლემჩილ“ (სიტყვასიტყვით – „დასაბერებელი“), რომელიც მონადირე გიორგის სიმაძაცისა და სიმარჯვის შესახებ მოგვითხრობს.

ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, სვანეთში დალის გარდა, ნადირობაში გამარჯვებას მონადირე წმინდა გიორგისა და აფსატს შესთხოვდა, მ. ჩიქოვანის მასალებით კი, სვანეთში ნადირი ოთხ ჯგუფად იყო გაყოფილი და თითოეულ მათგანს თავისი მფარველი ჰყავდა: „1. შიშველი მთის ნადირი (ირემი, შველი, არჩვი, ჯიხვი), რომელსაც ქალღმერთი დალი მფარველობდა; 2. ტყის მხეცები (დათვი, მელა, კვერნა, მაჩვი), რომელთაც „ტყის ანგელოზი“ („ცხეკიმ აგელვეზ“) მფარველობდა; 3. მეელი, რომელსაც წმინდა გიორგი განაგებდა; 4. ფრინველები და თევზები, რომელთაც „აფსატი“ მფარველობდა“ (ჩიქოვანი, 1947:62). ცხადია, მონადირემ წმინდა გიორგისადმი მიმართვა საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ დაიწყო. ეს წმინდანი ქართველებმა თითქმის ღმერთის დონეზე აიყვანეს და ზოგიერთი გადმოცემის თანახმად, დალის წინააღმდეგაც კი აამხედრეს.¹ ასე, მაგ: სვანურ საფერხულო სიმღერაში „მონადირე ჩორლა“, რომელიც, მეცნიერთა აზრით, „ბეთქილისა და დალის სიუჟეტის გვიანდელ ვარიაციას წარმოადგენს“ (ვირსალაძე, 1964:118), მონადირე ჩორლა დახარბდა და ერთის ნაცვლად სამი საუკეთესო ჯიხვი მოკლა. სვანური რწმენის თანახმად, მონადირეს ზომიერების გრძნობა არ უნდა დაეკარგა, რომ ღვთაება არ განერისხებინა. სწორედ ამის გამო, დალი სჯის ჩორლას, თუმცა აქ სიუჟეტში მოულოდნელად ჩნდება წმინდა გიორგი, რომელიც ქრისტეს ერთგული სამსახურისათვის ჩორლას გადაარჩენს, დალის კი „წვიმა-ქუხილს აუტეხს და ზვაგნი აღვრებში არევს“ (ვირსალაძე, 1964:119). ამგვარად, ქრისტიანულ ეპოქაში ერთგვარად სუსტდება წარმართული ღვთაების როლი, თუმცა იგი არ კარგავს თავის აქტიულობას, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სვან მონადირეებს დღემდე სჯერათ ქალღმერთ დალის არსებობა. ქართულ სამონადირეო ეპოსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მითოლოგიურ ძალს – ყურმას, რომელიც მრავალგვარი სახით საქართველოს არაერთი კუთხის (რაჭა, იმერეთი, ქართლი, მთიულეთი) და, მათ შორის, სვანეთის სამონადირეო ეპოსშიც ფიგურირებს. აქაური გადმოცემით, ყურმა ორბის ლეკვია, რომელიც მონადირემ გაზარდა. სვანურ სიმღერაში „ყურმაო“ სწორედ მონადირის გლოვაა გადმოცემული, რომელმაც ეს ერთგული მეგობარი დაკარგა. სვანური „ყურმაო“ „საგუნდო-საფერხული სიმღერას წარმოადგენს და ღრმა არქაულობის ნიშნებს ატარებს“ (ვირსალაძე, 1964:36).

სვანურ სამონადირეო ეპოსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უძველეს თქმულებას ხალხის კეთილდღეობისა და ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის – ამირანის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს თქმულება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება სხვადასხვა ვარიანტების სახით. თუმცა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მისი სვანური ვარიანტი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ძირითადად, რადგან „სვანეთში უკეთ არის შემონახული მოთხრობის უძველესი ხასიათი“ (ჯავახიშვილი, 1960:150). ხალხური გადმოცემით, ამირანი ნადირობის ქალღმერთისა და უბრალო მონადირის შვილია, რომლის დაბადებასთან ერთად დედა იღუპება, „ამირანი კი დედის მემკვიდრეობას აგრძელებს“ (ჩიქოვანი, 1947:95). ა. თათარაძის აზრით, „სწორედ ეს მემკვიდრეობაა საფუძველი იმისა, რომ სვანურ სიმღერას „ამირანის ფერხულს“ „სანადიროს“ უწოდებენ, განსხვავებით სხვა სამონადირეო სიმღერებისაგან, რომელთაგან არცერთი „სანადიროდ“ არ იწოდება“ (თათარაძე, 1976:16). გარდა აღნიშნული სიმღერისა, ამირანისა და დალის დედა-შვილობის შესახებ მოგვითხრობს სვანური საფერხულო სიმღერაც „დალა კოჯას ხელღვაჟალე“, რომელიც ამ კუთხის ფოლკლორში არაერთი პოეტური და მუსიკალური ვარიანტის სახით არსებობს. საინტერესოდ მიმაჩნია ა. თათარაძის გამოთქმული მოსაზრება „სანადიროსა“ და „დალა კოჯას ხელღვაჟალეს“ შედარების შედეგად მათი საფერხულო მოძრაობების თითქმის ზუსტ დამთხვევაზე, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს დალისა და ამირანის მემკვიდრეობითი კავშირის შესახებ. ნადირობასთან და ამირანთან დაკავშირებული ფერხულების არქაულობას ქართული ჭედური ხელოვნების იმ ნიმუშებზე დაკვირვებაც ცხადყოფს, რომლებიც ჩვენს ნელთაღრიცხვამდეა შესრულებული. მხედველობაში მაქვს თრიალეთის ვერცხლის თასი (ჩვ.ნ.აღ-მდე II ათასწლეული), თრიალეთის ბრინჯაოს სარტყელი (ჩვ.ნ.აღ-მდე I ათასწლეული) და „ყაზბეგის განძად“ წოდებული ბრინჯაოს ითიფალურ ქანდაკებათა კომპლექსი (ჩვ.ნ.აღ-მდე VII-VI საუკუნეები). პირველ მათგანზე გამოსახულია 23 ცხოველისნიღბიანი არსების წრიული მსვლელობა ერთი ნიღბოსნის გარშემო, რომელიც ფერხულის ყველაზე ადრეულ გამოსახულებად ითვლება; მეორე მათგანზე აღბეჭდილია „ქართული ქორეოგრაფიის „პირველსაწყისი“ – მონადირეთა ცეკვა“ (იაშვილი, 1975:45), რომელიც სავსე მთვარის შუქზე სრულდება; ხოლო „ყაზბეგის განძის“ ფიგურებში დიდი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი საცეკვაო მოძრაობები და ილეთები. შეიძლება ითქვას, რომ, აღნიშნულ ნიმუშებზე აღბეჭდილი სანახაობები, ერთი მხრივ, საქართველოში ოდითგანვე განვითარებული სამონადირეო ტრადიციების მხატვრული ანარეკლია, მეორე მხრივ კი – სამონადირეო ცეკვა-ფერხულის უძველეს წარმოშობაზე მიგვითითებს. საყურადღებოა, რომ თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ პროცესიას ტოტემური ცხოველის ატრიბუტებითა და წრის შიგნითა პერსონაჟით მის. ჩიქოვანი ნადირობის ქალღმერთ დალის პატივსაცემად შექმნილ საფერხულო წყობის რიტუალად მიიჩნევს; იმავე მკვლევრის აზრით, ბრინჯაოს ითიფალურ ქანდაკებათა კომპლექსი „ამირანის“ მატერიალურ გამოსახულებას წარმოადგენს; ხოლო ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახულ მონადირეთა ცეკვაში მთვარის შუქზე მ. იაშვილი სვანური ცეკვა „შუშპარის“ განსახიერებას ხედავს. როგორც ცნობილია, „შუშპარის“ სახელწოდებით სვანეთში ასრულებდნენ ორი სახეობის ცეკვას – მონადირეთა ცეკვას, რომელიც შრომის პროცესს ასახავდა და რიტუალურ ფერხულს წარმართული ღვთაების პატივსაცემად“ (გვარამაძე, 1957:7). ეს ღვთაება ლ. გვარამაძის აზრით, მთვარეა, რაზეც თვით ფერხულის სახელწოდება მიგვითითებს: „სიუს“ ანუ „შუმ“ მთვარეს ნიშნავს, „პარ“ კი – ფერხულს“ (გვარამაძე, 1957:6).

ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში არქაული სამონადირეო და საფერხულო ტრადიციებია შემონახული.

რაც შეეხება სვანური სამონადირეო სიმღერა-ფერხულების შესრულების თავისებურებებს, არქაულობაზე საუბარი ყველაზე ლოგიკურად სწორედ ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია. მათი უდიდესი უმრავლესობა წრიულია და წრეში მხარამხარ გადაბმული მოცეკვავეების მიერ სრულდება; ანუ შენარჩუნებული აქვს უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლებზე აღბეჭდილი ფორმა. ამასთან, სვანები ფერხულების ყველაზე ადრინდელ ფეხის მოძრაობათა ნაერთს „მურგვალ ჭიშხს“ – „მრგვალ ფეხს“ უწოდებენ. პირველყოფილი სამონადირეო ფერხულის სიმრგვალე, შესაძლოა, ნადირობის სპეციფიკიდან მომდინარეობდეს (ნადირის წრეში, ალყაში მოქცევა), თუმცა ლოგიკას მოკლებული არ არის საუბარი მნათობთა თაყვანისცემის კვალზეც. ფერხული კოლექტიურია თავისი წარმოშობით, ამიტომ უმთავრესად გუნდური შესრულება ახასიათებს². ყველა სვანურ ფერხულს უძღვის დამწყების ფრაზა, მას მოსდევს დიალოგის პრინციპზე აგებული ორპირული შესრულება, რომლის დროსაც პირველი გუნდის ყოველ ფრაზას ზუსტად იმეორებს მეორე გუნდი. განმეორებადობა და დიალოგიურობა, რაც არქაული ხალხური ლექსისათვისაა დამახასიათებელი, ერთი მხრივ, შესანიშნავად ესადაგება ფერხულის ორგუნდოვან შესრულებას, მეორე მხრივ კი, გარკვეულწილად აფერხებს მუსიკალური აზრის განვითარებას, თუმცა დინამიკის ზრდა მუსიკალური ფრაზების განმეორებადობის პირობებში, ტემპის მომატების ხარჯზე ხორციელდება. ხშირად ტემპის მომატებას თან ერთვის ტამისცემაც, რაც ცეკვას მეტ მიზანსწრაფულობას ანიჭებს. ფერხულებთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით რიტმის როლს, რომელიც ამ სინკრეტულ ჟანრში გაერთიანებული კომპონენტების – მუსიკის, პოეტური ტექსტისა და ქორეოგრაფიის მათგან განსაკუთრებით ფუნქციას ასრულებს. გარდა ამისა, ჩემი აზრით, შესაძლებელია საუბარი ერთგვარ რიტმულ „ფორმულებზე“, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სვანურ სამონადირეო ფერხულებში და, სავარაუდოდ, იგივე შეიძლება ითქვას „საფერხულო ფეხის“ შესახებაც. აქაც იკვეთება საერთო მოძრაობები, რომელიც უძველესი უნდა იყოს და ერთ დროს, შესაძლოა, გარკვეული სემანტიკური დატვირთვის მატარებელიც. აღვნიშნავ კიდევ რამდენიმე მომენტს, რომელიც, ზოგადად, სვანური მუსიკალური ფოლკლორის და, ჩემი აზრით, განსაკუთრებით, მისი უძველესი ნიმუშების – სამონადირეო სიმღერა-ფერხულების არქაულობაზე მეტყველებს. ესენია: 1) გლოსოლოგიების სიხშირე; 2) თანხმოვანთა სიჭარბე და მათი გამღერების ფორმა; 3) დაჭიმული, დაძაბული მღერის მანერა; დაბოლოს 4) მრავალხმიანობის ტიპი, რომელიც, აკორდული კომპლექსების სინქრონულ მოძრაობაზეა აგებული. თუ ამას დავამატებთ მონადირეობის ინსტიტუტის საუკუნეობრივ ტრადიციებს სვანეთში და საფერხულო შესრულების ფორმის კულტივირებას საქართველოში ჯერ კიდევ ჩვ.წ.ალ-მდე II ათასწლეულში, ეჭვგარეშეა სამხმიანი სვანური სამონადირეო სიმღერა-ფერხულების არქაული წარმოშობა.

შენიშვნები

¹ რაც შეეხება „ტყის ანგელოზსა“ და „აფსატს“, ჩვენს ხელთ არსებულ სიმღერებში ისინი არ ფიგურირებენ.

² თუმცა გვხვდება როგორც საგუნდო, ისე სოლო სამონადირეო სიმღერებიც ხალხური საკრავის – ჭუნირის თანხლებით. მაგ. „დალა კოჯას ხელღვაჟალე“ და „ბაილ ბეთქილ“, თუმცა ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, მოგვიანებით, საგუნდო ვარიანტების საფუძველზე უნდა შექმნილიყო.

დამონმებული ლიტერატურა

გვარამაძე, ლილი. (1957). *ქართული ხალხური ქორეოგრაფია*. თბილისი: ხელოვნება.

ვირსალაძე, ელენე. (1964). *ქართული სამონადირეო ეპოსი*. თბილისი: მეცნიერება.

თათარაძე, ალექსანდრე. (1976). *ძველი ქართული (სვანური) ფერხულები*. თბილისი: განათლება.

იაშვილი, მზია. (1975). *ქართული მრავალხმიანობის საკითხისათვის*. თბილისი: განათლება.

ნიჟარაძე, ბესარიონ (თავისუფალი სვანი). (1886). *ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენისწყლისა და რიონის სათავეებში*. გაზეთი *ივერია*, №238.

ჩიქოვანი, მიხეილ. (1947). *მიჯაჭვული ამირანი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი, ივანე. (1960). *ქართველი ერის ისტორია*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.